შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის 27 აპრილის № 78 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2015 წლის 26 ივნისი

ქ. ფოთი

შემსყიდველი – ს.ს.ი.პ„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ ს/კ 215082764.
მისამართი: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93. საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22ა/ა: 707247519 **დირექტორი:** რევაზ ბაბილუას.
მიმწოდებელი – მხრივ ა(ა)იპ „ ბათუმის კულტურის ცენტრი “ (ს/კ 245612109) მის: ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. 1; რუსთაველის ქ. 53.საბანკო რეკვიზიტები: სახ. ხაზინა TRESGE22; ანგ.ნომერი 7 4070 3459; წარმოდგენილი დირექტორის ჯონი საბაშვილი
ორივე ერთად წოდებული „მხარეები“, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მხარეთა შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის 27 აპრილს გაფორმებული N 78 ხელშეკრულების მე–10 მუხლის საფუძველზე, შევთანხმდით მხარეთა შორის 2015 წლის 27 აპრილს გაფორმებული N 78 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებაზე:

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურ“–სა და ა(ა)იპ „ ბათუმის კულტურის ცენტრი “ (ს/კ 245612109) შორის 2015 წლის 27 აპრილს დადებული N 78 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე–2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასტუმროში ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიის XIX - ე საერთაშორისო კონფერენციის (MBSHC 19) სტუმრებისთვის კულტურული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით ქ. ბათუმის ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლით მომსახურების შესყიდვა შესაბამისი აპარატურის უზრუნველყოფით.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ითვალისწინებს: 2015 წლის 01 ივლისს სტუმრებისათვის დაგეგმილი კულტურული ღონისძიების ორგანიზებისათვის;

- ქორეოგრაფიული ანსამბლის მომსახურების შესყიდვა;
- ვოკალური ანსამბლის მომსახურების შესყიდვა.

2.3 მომსახურება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 01 ივლისს 20:00 სთ–დან 22:30 სთ–ჩათვლით.

2.4 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლით მომსახურება შესაბამისი აპარატურით.

ხელშეკრულების მე–3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.1. ხელშეკრულების ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1800.00 (ერთიათას რვაასი ლარი 00 თეთრი) ლარს (დ.ღ.გ.–ს ჩათვლით);
3.2. გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

N	გასაწევი მომსახურების დასახელება	სთ. რაოდენობა	ჯამური ღირებულება
1	ქორეოგრაფიული ანსამბლი.	20:00 სთ–დან 22:30 სთ–ჩათვლით.	1300.00
3	ვოკალური ანსამბლი.	20:00 სთ–დან 22:30 სთ–ჩათვლით.	500.00
	სულ:		1800.00

ხელშეკრულების მე–4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.1 შესყიდული მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 01 ივლისს 20:00 სთ–დან 22:30 სთ–ჩათვლით.
4.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ზღვისპირა მიმდებარე ტერიტორია, რესტორან შ.პ.ს. "ყირამალა"–ში

ხელშეკრულების მე–14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით.
14.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8 მუხლი მოქმედებს მის სრულ შესრულებამდე.

ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი

2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2015 წლის 27 აპრილის №78 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

"შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"

_____ რევაზ ბაბილუა

„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი"

_____ ჯონი საბაშვილი